**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030139120629821

**№ 01-101/ო** **31 / მარტი / 2021 წ.**

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლისთვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლისთვის სამოქმედო გეგმა (დანართი N1).

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა და საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ ამ ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესრულება.

3. ეთხოვოთ სამოქმედო გეგმაში ჩართულ შესაბამის უწყებებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს კოორდინირებული ურთიერთთანამშრომლობა სამოქმედო გეგმაში გაწერილი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე